შეთანხმების აქტი №02.09.16/10/006-1

2020 წლის 08 იანვარს გაფორმებულ №02.09.16/10/006 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი 2020 წლის 21 თებერვალი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ (შემდგომში „შემსყიდველი“) და შპს „ბბ“-მ (შემდგომში „მიმწოდებელი“) 2020 წლის 08 იანვარს გააფორმეს №02.09.16/10/006 ხელშეკრულება რაიონის ტერიტორიაზე, ვაზისუბნის მე-4 მ/რ პირველი კვ. ყოფილი 149-ე ბაგა-ბაღის შენობის მიმდებარედ, უსაფრთხოების ღონისძიების უზრუნველსაყოფად, დაცვის თანამშრომლებისათვის საოფისე კონტეინერის საიჯარო მომსახურების შესყიდვაზე, საერთო ღირებულებით 2 205 (ორი ათას ორას ხუთი) ლარი. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 10 მარტი.

იმის გათვალისწინებით, რომ ვაზისუბნის მე-4 მ/რ პირველი კვ. ყოფილი 149-ე ბაგა-ბაღის შენობის მიმდებარედ, უსაფრთხოების ღონისძიების უზრუნველსაყოფად, დაცვის თანამშრომლებისათვის უშუალოდ ყოფილი ბაგა-ბაღის შენობაში მოეწყო საოფისე ფართი, კონტეინერის საიჯარო მომსახურება აღარ არის საჭირო. ზემოაღნიშნული იწვევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების შემცირებას 630 (ექვსას ოცდაათი) ლარით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2020 წლის 08 იანვარს გაფორმებული №02.09.16/10/006 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შემცირდეს 630 (ექვსას ოცდაათი) ლარით და განისაზღვროს 1 575 (ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით;
2. 2020 წლის 08 იანვარს გაფორმებული №02.09.16/10/006 ხელშეკრულება ჩაითვალოს შესრულებულად;
3. წინამდებარე შეთანხმების აქტი ძალაშია ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
5. წინამდებარე შეთანხმების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომლის თითოეული მხარე ინახება მხარეებთან;
6. 2020 წლის 08 იანვარს გაფორმებული №02.09.16/10/006 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

ისნის რაიონის გამგეობა

გამგებლის მოადგილე

_____ გ. შალვაშვილი

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2020.02.21 05:35:41 -08'00'

შპს „ბბ“

დირექტორი

_____ ი. მამუკაშვილი